ანოტაცია

თემაში განხილულია ლანდშაფტური დაგეგმარების საკითხები ქალაქ ქუთაისის მაგალითზე, რომელიც დამუშავდა ურბანული დაგეგმარების მეთოდოლოგიით. ქუთაისის ფარგლებში გამოიკვეთა ლანდშაფტები და ტერიტორიები, სადაც საჭიროა ინტეგრირეგული გეგმარებითი მიზნების განხორციელება და ლანდშაფტების დაცვა.

ლანდშაფტური დაგეგმარება საშუალებას აძლევს დარგობრივ დაგეგმარებას იქონიოს ინფორმაცია მოსალოდნელ კონფლიქტებზე და ბუნებისდაცვით მოთხოვნებზე, რითაც პოტენციურ მოსარგებლეს და დარგობრივ მგეგმავს ეზოგება სახსრები და დრო.

ხშირად, ლანდშაფტური დაგეგმარების მეშვეობით ხორციელდება ბუნებათსარგებლობითი მოთხოვნებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ცვლა პოზიტიურით, რაც წარმოადგენს ლანდშაფტური დაგეგმარების “გვერდით” ეფექტს. მთლიანობაში, ლანდშაფტური დაგეგმარება ხელს უწყობს ურთიერთკავშირების განმტკიცებას ეკოლოგიურ მოთხოვნებსა და ადამიანების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ინტერესებს შორის.

ამგვარად, ქალაქ ქუთაისისათვის სასარგებლო იქნება თუ ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგია გათვალისწინებული იქნება ქალაქგეგმარებაში.

თემაში განხილულია ქუთაისის დაგეგმარების ისტორიული თავისებურებები. აღსანიშნავია, რომ ქუთაისს თავისი ისტორიის მანძლზე ჰქონდა სამი გენერალური გეგმა. ბოლო გეგმა შეიქმნა 1976 წელს, სამწუხაროდ XX საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ ქალაქგეგმარებაში არანაირი ცვლილება არ მომხდარა.

თემაში აღწერილი და განხილულია ყველა გეოგრაფიული კომპონენტი და კონფლიქტები. ყველა ამ კომპონენტის და მათი პრობლემების ინტეგრირების შედეგად იკვეთება ტერიტორიები, რომლებსაც სჭირდებათ განსაკუთრებული დაცვა

და დაგეგმარება. ლანდშაფტური მეთოდოლოგიის გამოყენებით კი ქუთაისში შემომავალ ყველა ლანდშაფტს განესაზღვრა სპეციფიკური გეგმარებითი მიზანი. გამოიკვეთა რამდენიმე ტერიტორია, რომლებიც გამორჩეულ დაცვას საჭიროებს, რადგან მოიცავს იმ ლანდშაფტებს, რომელთა დაცვასა და შენარჩუნებას ქალაქის და მისი მიმდებარე ტერიტორიებისთვის, ასევე ეკოლიგიური მდგომარეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.